

სს“ელექტროენერგეტიკული სისტემის

კომერციული ოპერატორი”

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2011 წლის 31 დეკემბერს

სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და დამოუკიდებელ აუდიტორთა პასუხისმგებლობები, სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი საქმიანობის შედეგებს, ფულადი ნაკადების მოძრაობასა და კაპიტალში განხორციელებულ ცვლილებებს ზემოთაღნიშნული წლის ბოლოსთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:


- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ნებისმიერ დროს აწარმოოს კომპანიის ფინანსური ჩანაწერების აღრიცხვა შესაბამისი სიზუსტით, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დარწმუნდნენ, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-ების დაცვით;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ფინანსური ანგარიშგება 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, მენეჯმენტის

სახელით 2012 წლის 18 ივნისს დამტკიცებულია შემდეგი პირების მიერ


ირინა მილორავა

გენერალური დირექტორი


ხათუნა ჩადუნელი

ბუღალტრული აღრიცხვისა და
ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი

სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის
კომერციული ოპერატორი"
შემოს. № 730
"18" 06 2012 წ.

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"-ს მენეჯმენტს და აქციონერებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"-ს (შემდეგში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ასევე შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნასა და გამოყენებაზე, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობის რწმენით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოშობილ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენს პასუხისმგებლობაში შედის, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საშუალებით. აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს კომპანიის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. ამის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

18 ივნისი, 2012 წელი
თბილისი, საქართველო

ყანა ზიციანი

სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი”

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


(ლარებში)

	შენიშვნა	2011	2010	2009
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები		2,238	3,785	3,000
ძირითადი საშუალებები	4	390,945	267,305	308,168
გადავადებული მოგების გადასახადი	10	422,458	-	-
გასაყიდად გამოზნული ინვესტიციები		720	720	720
სულ გრძელვადიანი აქტივები		816,361	271,810	311,888
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	11,162	6,783	12,188
მოგების გადასახადის მიმდინარე აქტივი		254,862	-	81,611
სავაჭრო მოთხოვნები	6	35,054,950	22,129,501	12,963,577
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	309,874	12,713	26,956
ფული და ფულის ექვივალენტები	8	5,049,634	5,586,791	5,236,701
სულ მოკლევადიანი აქტივები		40,680,482	27,735,788	18,321,033
სულ აქტივები		41,496,843	28,007,598	18,632,921
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	9	87,309	200	200
საწესდებო კაპიტალში არაფულადი შენატანის რეზერვი	9	(15,660)	-	-
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		83,276	83,276	-
გაუნაწილებელი მოგება		3,111,123	5,145,227	3,838,619
სულ საკუთარი კაპიტალი		3,266,048	5,228,703	3,838,819
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გადავადებული მოგების გადასახადი	10	-	34,819	41,191
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	34,819	41,191
მოკლევადიანი ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება და სხვა მიმდინარე ვალდებულებები	11	37,230,180	20,399,263	13,405,196
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	12	1,000,615	1,853,243	1,347,715
გადასახდელი მოგების გადასახადი		-	491,570	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		38,230,795	22,744,076	14,752,911
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		41,496,843	28,007,598	18,632,921

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2012 წლის 18 ივნისს.

მენეჯმენტის/სახელით:


 ირინა მილორადოვა
 გენერალური დირექტორი


 ხათუნა ჩადუნელი
 ბუღალტრული აღრიცხვისა და
 ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი

სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი”

სრული შემოსავლის ანგარიშგება


საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს


(ლარებში)

	შენიშვნა	2011	2010
მთლიანი შემოსულობები		240,342,044	150,678,354
შემოსავალი აგენტის ოპერაციებიდან		(50,487,563)	(52,390,510)
ნეტო შემოსავალი	13	189,854,481	98,287,844
დარიცხვები აგენტის ოპერაციებზე		50,487,563	52,390,510
მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების თვითღირებულება	13	(183,711,529)	(90,505,971)
საერთო მოგება		6,142,952	7,781,873
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,191,851)	(3,157,916)
უიმედო და საექვო ვალების ხარჯი	6	(3,106,585)	(65,919)
ძირითადი საშუალების ჩამოწერით მიღებული ზარალი		-	(45,668)
საპროცენტო შემოსავლები	15	799,629	611,571
მიღებული მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობებიდან, ნეტო	16	44,911	(42,208)
სხვა შემოსავალი	17	352,963	317,152
მოგება დაბეგრამდე		1,042,019	5,398,885
მოგების გადასახადის ხარჯი	18	(38,345)	(728,912)
წმინდა მოგება		1,003,674	4,669,973
ძირითადი საშუალებების გადაფასება	4	-	97,972
გადავადებული გადასახადის ეფექტი	10	-	(14,696)
მთლიანი სრული შემოსავალი		1,003,674	4,753,249

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2012 წლის 18 ივნისს.

მენეჯმენტის სახელით:


 ირინა მილორავა
 გენერალური დირექტორი



 ხათუნყაძუნელი
 ბუღალტრული აღრიცხვისა და
 ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი

სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი”
 ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს
 (ლარებში)

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2009 წლის 31 დეკემბრისთვის	200	3,838,619	-	3,838,819
გადახდილი დივიდენდი საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მთლიანი სრული შემოსავალი	-	(3,363,365)	-	(3,363,365)
ნაშთი 2010 წლის 31 დეკემბრისთვის	200	5,145,227	83,276	5,228,703
საწესდებო კაპიტალის ზრდა	87,109	-	-	87,109
საწესდებო კაპიტალში არაფულადი შენატანის რეზერვი	9	(15,660)	-	(15,660)
გადახდილი დივიდენდი	-	(2,136,825)	-	(2,136,825)
დამფუძნებლებისთვის არაფულადი აქტივების გადაცემა	-	(900,953)	-	(900,953)
საანგარიშგებო პერიოდში მიღებული მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,003,674	-	1,003,674
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბრისთვის	71,649	3,111,123	83,276	3,266,048

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2012 წლის 18 ივნისს.

მენეჯმენტის სახელით:


 ირინა მილორავა
 გენერალური დირექტორი


 ზათუნა ჩადუნელი
 ბუღალტრული აღრიცხვისა და
 ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი


10-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს


სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"
 ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2011 წლის 31 დეკემბერს
 (ლარებში)

	შენიშვნა	2011	2010
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		1,042,019	5,398,885
კორექტირება:			
ცვეთა და ამორტიზაცია	4,14	65,020	97,557
დამფუძნებლებისთვის არაფულადი აქტივების გადაცემა		(900,952)	-
უიმედო ვალების ხარჯი	6	3,106,585	65,919
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები		-	45,668
საპროცენტო შემოსავალი (ხარჯი), ნეტო	15	(799,629)	(611,571)
კურსთაშორისი სხვაობის ეფექტი	16	44,911	(42,208)
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		2,557,954	4,954,250
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება:			
მარაგების (ზრდა) შემცირება		(4,379)	5,405
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა		(15,781,877)	(9,112,212)
სხვა მოთხოვნების (ზრდა) შემცირება		(297,161)	14,243
სავაჭრო ვალდებულებების ზრდა		16,535,847	6,916,645
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების (შემცირება) ზრდა		(852,628)	505,528
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან გადახდილი მოგების გადასახადი		(400,198)	(1,670,391)
		(1,242,053)	(176,800)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		915,703	3,107,059
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი			
საშუალებების შესყიდვა		(115,664)	(2,985)
არამატერიალური აქტივებისა შესყიდვა		-	(2,190)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		799,629	611,571
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		683,965	606,396
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(2,136,825)	(3,363,365)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(2,136,825)	(3,363,365)
ფულის და ფულის ექვივალენტების (კლება) ზრდა		(537,157)	350,090
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		5,586,791	5,236,701
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		5,049,634	5,586,791

2011 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2012 წლის 18 ივნისს.

მენეჯმენტის სახელით:


 ირინა მილჩურავა
 გენერალური დირექტორი


 ბატუნა ჩელიძე
 ბუღალტრული აღრიცხვისა და
 ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი

10-32 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს